

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ასსნა-განმარტებითი მუნიშვნელები 6-17

შპს თ.გ.

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები	2018	2017
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3	
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4	47,138
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5	
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-17	
საერთო ჯამი	7	
სულ	7,354,330	1,976,079
გადაღებული		
საქტო და სხვა მოვალეობები	8	176,787
საერთო ჯამი	9	26,615
მოვალეობის ბეჭედი		129,599
ანგარიშგება		
გადაღებული	1,740,430	1,902,097
საერთო ჯამი	2,475,596	2,135,099
საერთო ჯამი		
საერთო ჯამი	2,000	2,000
საერთო ჯამი (დამკვეთი ბეჭედი)	(133,488)	(261,026)
საერთო ჯამი		
საერთო ჯამი	(121,488)	(234,026)
საერთო ჯამი	7,354,330	1,976,079

עיצוב מתחנך



2



შპს თ.გ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	27,726	47,138
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები	4	580,901	581,880
მარაგები	5	602,866	308,135
ძირითადი საშუალებები	6	1,142,638	1,038,927
არამატერიალური აქტივები	7		
სულ აქტივები		2,354,130	1,976,079
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	633,743	176,787
საგადასახადო ვალდებულებები			26,615
მოკლევადიანი სესხები	9	136,203	129,599
ანარიცხები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,705,650	1,902,097
სულ ვალდებულება		2,475,596	2,235,099
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(123,466)	(261,020)
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		(121,466)	(259,020)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,354,130	1,976,079

დირექტორები:

დავით დოდელია



მთავარი ბუღალტერი:

ლევან ჩახნაშვილი

შპს თ.გ.

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	2018
ამონაგები	10	3,747,272
თვითღირებულება	11	(3,010,943)
საერთო მოგება		736,329
სხვა შემოსავლები		53,049
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(501,952)
საოპერაციო მოგება		287,926
ფინანსური ხარჯი	13	(96,574)
წმინდა შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(53,299)
მოგება დაბეგვრამდე		137,553
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		137,553
მთლიანი სრული შემოსავალი		137,553

დირექტორები:

დავით დოდელია



მთავარი ბუღალტერი:

ლევან ჩახნაშვილი

შპს თ.გ.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	2,000	-	(261,020)	(259,020)
წმინდა მოგება	-	-	137,553	137,553
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	137,553	137,553
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	2,000	-	(123,466)	(121,466)

დირექტორები:

მთავარი ბუღალტერი:

დავით დოდელია

ლევან ჩახნაშვილი



წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული პრინციპებისა და საქართველოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის შეთანხმებით, ხაზარმოთი გამოყოფილებს ფუნქციონირებადი სახარმოის მოთხოვნებს.

შპს-ის სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია შპს-ის სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარმოადგენს

შპს თ.გ. 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თ.გ.“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1996 წლის 05 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 209448613. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი დიდუბის რაიონი დგებუაძის ქ. #8, ხოლო ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი ორხევის დასახლება მუხაძის ქ. 6/6

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პლასტმასის ერთჯერადი ჭურჭლის წარმოება. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 10%-იანი წილის მფლობელი ლია გელაშვილი 01020004009, 15%-იანი წილის მფლობელი დავით გერმისაშვილი 01002006569, 10%-იანი წილის მფლობელი გიორგი დევიძე 01002023640, 5%-იანი წილის მფლობელი დავითი ედიბერიძე 01024038515, 36%-იანი წილის მფლობელი დავით დოდელია 01017009760, 16%-იანი წილის მფლობელი ალექსანდრე კვარაცხელია 01008010437, 8%-იანი წილის მფლობელი თეიმურაზ თვალაძე 62001001014.

კომპანიის დირექტორია დავით დოდელია 01017009760

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 58 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები



Handwritten signature in blue ink.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი


ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:



რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიკვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები



რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება



ლ. ვ. ლ. ვ. ლ. ვ.

[Handwritten signature]

ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი განვლის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	20-50
ძირითადი საწარმოო დანადგარები	3-20
დამხმარე საწარმოო დანადგარები	3-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-20
იჭარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე. რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება



სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში. საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ პროდუქციის რეალიზაციიდან ან მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, რეალიზაციის განხორციელებისთანავე ან მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება; ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.



სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა



ლ. ვ. ჯ. ლ. ვ. ჯ.

[Handwritten signature]


ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფული სალაროში	22,647	19,237
ფული საბანკო ანგარიშებზე	24,491	8,489
სულ ჯამი	47,138	27,726



შენიშვნა 4 - სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	580,901	581,880
სხვა მოთხოვნები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	-
სულ ჯამი	580,901	581,880

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

შენიშვნა 5 - მარაგები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ნედლეულის მარაგები	315,812	111,936
მზა პროდუქცია	260,461	192,324
დამხმარე მასალების მარაგები	13,901	3673
სხვა მარაგები	12,692	202
სულ ჯამი	602,866	308,135

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	საწარმოო მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა -საოპერაციო	ჯამი
ლარში							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	103,480	125,081	1,485,502	58,590	59,875	82,805	1,915,333
შესყიდვა	-	-	31,118	10,372	-	136,841	178,331
გასვლა					15,891		15,891
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	103,480	125,081	1,516,620	68,962	43,984	219,646	2,077,773
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	7,505	767,252	49,713	37,138	0	861,608
ცვეთის ხარჯი	-	2,502	67,673	3,068	1,369	0	74,612
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის ბოლოს	-		834,925	52,781		0	936,220

ლ. ვ. ჯ. კოძეშვილი



[Handwritten signature]

მდგომარეობით

10,007

38,507

საბალანსო ღირებულება

2017 წლის ბოლოს

103,480

117,576

749,368

19,249

6,846

82,805

1,079,324

2018 წლის ბოლოს

103,480

115,074

681,695

16,181

5,477

219,646

1,141,553

შენიშვნა 7 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	587,908	139,242
საიტარო ვალდებულებები	4,122	-
კომუნალური ვალდებულებები	28,543	29,736
სხვა ვალდებულებები	423	27,636
გადასახდელი ხელფასები	12,747	6,788
სულ ჯამი	633,743	203,402

შენიშვნა 8 - სესხები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
გადასახდელი პროცენტები	-	-
მოკლევადიანი სესხები	136,203	129,599
გრძელვადიანი სესხები	1,705,650	1,902,097
სულ ჯამი	1,841,853	2,031,696

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები საფინანსო დაწესებულებების მიმართ, როგორც ლარში ასევე ევროში, გრძელვადიანი სესხების დაფარვა კომპანიის მიერ მოხდება 2026 წელს, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ლარში შეადგენს 2.5 %-ს, ხოლო ევროში 6.5 %-ს;

შენიშვნა 9 - ამონაგები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი პროდუქციის რეალიზებიდან	3,696,241
შემოსავალი მომსახურებიდან	51,031
სხვა შემოსავალი	53,049
სულ ჯამი	3,800,321

ლავიე მოქმედ.



[Handwritten signature]

შენიშვნა 10 - თვითღირებულება

ლარი

რეალიზებული პროდუქციის

თვითღირებულება'

სულ ჯამი

2018 წლის 31 დეკემბერი

(3,010,943)

(3,010,943)

შენიშვნა 11 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

შრომის ანაზღაურება

საიტარო ქირა

ცვეთა და ამორტიზაცია

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

სულ ჯამი

2018 წლის 31 დეკემბერი

(380,729)

(9,435)

(74,612)

(37,176)

(501,952)

შენიშვნა 12 - ფინანსური ხარჯი

ლარი

საპროცენტო ხარჯები

კურსთაშორის სხვაობით მიღებული

მოგება(ზარალი)

სულ ჯამი

2018 წლის 31 დეკემბერი

(96,574)

(53,299)

(149,873)

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:

დავით დოდელია



მთ. ბუღალტერი:

ლევან ჩახნაშვილი